

დადგენილება #აგ-0965-21
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

08.04.2021წ.

ქ. თბილისი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია;

2. საქმის განხილვის თარიღი: 2021 წლის 8 აპრილი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ვასილ თამარაშვილი კ/ნ 06001002497 მცხეთა, სოფ.წეროვნის დევნილთა დასახლება მე-10, შენ 504

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, წეროვნის დევნილთა დასახლებაში, აბონენტ ტარიელ თამარაშვილს (აბ.4110341542), დავალიანების გამო შეუწყდა ელ.ენერგიის მიწოდება. შემოწმებისას 2021 წლის 18 მარტს დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა შეწყვეტილი ელ.ენერგიის თვითნებურ აღდგენას. აღნიშნულ ფაქტზე 2021 წლის 25 მარტს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ახმ08717 სადაც სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა ვასილ თამარაშვილი (კ/ნ 06001002497), რომელიც აღიარებს მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. ვასილ თამარაშვილის მიერ განხორციელებული (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2021 წლის 6 აპრილს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. ვასილ თამარაშვილს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა სხდომაზე არ გამოცხადდა, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე სამართალდამრღვევს არანაირი განცხადებით არ მოუმართავს. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; დამრღვევის ახსნა-განმარტება და შეტყობინება. (საქმეში ასევე წარმოდგენილია აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #A757573 სადაც აღნიშნულია რომ ადგილი ჰქონდა, შეწყვეტილი ელ.ენერგიის თვითნებურ აღდგენას) რომელთა მეშვეობითაც დგინდება ვასილ თამარაშვილის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასე 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 228²-ე; 236-ე; 264-ე; 266-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10წ. #14 და 18.09.2008წ. #20 დადგენილებებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 16.09.2009წ. # RU2010009 წესით, 23.05.2019წ. #OR2019028 ბრძანებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ვასილ თამარაშვილი პ/ნ 06001002497 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილება სახით.

(სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის დაახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15 000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ნიკო გოგიტიძე
კომისიის თავმჯდომარე